საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფხაზი კოტე ნიკოლოზის ძე

კ. აფხაზი

აფხაზი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე (27. XI. 1867, სოფ. კარდანახი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 19. V. 1923, თბილისი), ქართველი საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. გენერალი (1919), ი. ჭავჭავაძის დისშვილი.

დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი და პეტერბ. სამხ. სასწავლებელი. მსახურობდა არმიაში. 1906 – 13 იყო თბილ. საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, კახეთში რკინიგზის გაყვანის ერთ-ერთი ინიციატორი, ამიერკავკ. ბანკის დაარსების საინიციატივო ჯგუფების თავ-რე. 1913 და 1916 აირჩიეს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად, რის გამოც სამხ. სამსახურიდან გადადგა. იყო აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის ლიბერალური წრის ერთ-ერთი მეთაური. სათავეში ედგა ე. წ. „უპარტიოთა კავშირს“.

I მსოფლიო ომის (1914–18) დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 ა. კვლავ სამხ. სამსახურში დაბრუნდა. ჩამოაყალიბა საარტ. ბრიგადა, რ-იც მისი მეთაურობით დას. ფრონტზე იბრძოდა. 1915 ა. ფრონტიდან გამოიწვიეს თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის შესასრულებლად. 1917 ოქტ-ში ა-ის წინადადებით აღმ. საქართველოს თავადაზნაურობამ თავისი წოდებრივი ორგანიზაციის მთელი ქონება ქართვ. ერის საკუთრებად გამოაცხადა.

1917 ა. ქართ. უნ-ტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის თავ-რე იყო. საქართვ.

ეროვნულმა ყრილობამ (1917 წ. 19–22 ნოემბ.) ა. ეროვნული საბჭოს-საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩია.

ა. ახლოს იდგა ეროვნ.-დემოკრ. პარტიასთან. 1921 იანვარში ამ პარტიაში შევიდა და მისი თავ-რე გახდა.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ ა. იბრძოდა საქართვ. დამოუკიდებლობის აღსადგენად – აქტიურად მონაწილეობდა აგვისტოს აჯანყების (1924) მზადებაში, იყო ამ აჯანყების ხელმძღვანელი „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სამხ. სექციის მეთაური. 1923 თებ-ში პოლიტსამმართველოს ორგანოებმა ა. დააპატიმრეს და სხვებთან ერთად ადმ. წესით დახვრიტეს.

უ. სიდამონიძე